# საგარეჯოს მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №19(297) 2023 წ. 1-15 ოქტომბერი ფასი 1 ლარი


## ღვინის დღეები საგარეჯოში





**საქართველოს** მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, ღვინის დღეები გაიმართა საგარეჯოში

ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოდგენილი იყო - მეღვინეების კუთხე, ფოტოზონები, საბავშვო გასართობი სივრცეები და კვების ზონა.

გაიმართა სხვადასხვა ასაკის სტუმარზე გათვლილი შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები.

ღვინის დღეები საგარეჯოში ანსამბლი "ალილოს" და დუეტი "ჯორჯიას" გრანდიოზული კონცერტით დასრულდა.

დასასრული მერვე გვერდზე

## ვაზი – ჩვენი ეროვნული მეობის შემნარჩუნებელი

**დღევანდელი** საქართველოს ტერიტორიაზე აბორიგენი მოსახლეობის რუდუნებითა და ღვაწლით ათასწლეულების განმავლობაში ხალხური სელექციის შედეგად ჩამოყალიბდა და გავრცელდა ქართული ვაზის (Vitis vinifera L. sativa) 525 ადგილობრივი ჯიში. აქედან: კახეთში 80, ქართლში 72, მესხეთ-ჯავახეთში 26, იმერეთში 74, რაჭა-ლეჩხუმში 50, გურიაში 59, სამეგრელოში 60, აჭარა 53, აფხაზეთში 51 ვაზის ჯიშია. საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია კულტურული ვაზის წინაპრის, ველური ვაზის (Vitis vinifera L. silvestris) 400-ზე მეტი ფორმა.

ქართული ვაზის ჯიშები, პროფესორ ა. ნეგრულის კლასიფიკაციის მიხედვით, დაყოფილია შავი ზღვის აუზის (proles, pontica subproles georgica Negr.) და აღმოსავლეთ აზიის (proles, orientalis subproles caspica Negr.) ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფებად, რომლებიც შექმნილია კულტურული ვაზის ჯიშთა წარმოქმნის კოლხეთისა და ალაზნის კერებში და მათი უმრავლესობა მიეკუთვნება proles pontica subproles georgica Negr ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფს.

ვაზის ადგილობრივი ჯიშები, როგორც ქართული აგრონომიული მემკვიდრეობის სიმდიდრე, წარმოდგენილი საღვინე ჯიშების დომინირებით სასუფრე დანიშნულების ჯიშებთან ერთად, ოდითგანვე იწვევდა ქართველ და უცხოელ მკვლევართა ფართო ინტერესს.

ქართული სელექციური სკოლის ნაყოფიერი შემოქმედება, რომელიც შუალვერ-შომუთეფეს კულტურის უძველესი ტრადიციებიდან იღებს სათავეს, გვირგვინდება XX საუკუნის მიღწევებით.



ქართველ მეცნიერთა სურვილი, რომ განესაზღვრათ ვაზის ქართული ჯიშების რაოდენობა, ძალიან გაძნელდა წყაროების სიმწირის, ჯიშების სინონიმური სახელების მრავალფეროვნებისა და საქართველოს ვაზის გენოფონდზე XIX საუკუნეში გავრცელებული სოკოვანი დაავადებებისა და ფილოქსერას მავნე ზემოქმედების გამო.

## 5 ოქტომბერი მასწავლებელთა საერთაშორისო დღეა!

**მასწავლებელთა** საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მერი **ავთანდილ გულიკაშვილი,** კახეთის სახელმწიფო რწმუნებულ **გიორგი ალადაშვილთან** და საკრებულოს თავჯდომარე **ალექსი გილაშვილთან** ერთად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მასწავლებლებს შეხვდა. გიორგი ალადაშვილმა და ავთანდილ გულიკაშვილმა საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებს სიტყვით მიმართეს და პროფესიული დღე მიულოცეს. შეხვედრას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 26 საჯარო, 1 კერძო სკოლის და 26 საბავშვო ბაღის 600 მასწავლებელი ესწრებოდა. ***მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, სკოლების და ბაღების 70 წელს გადაცილებულ 28 პენსიონერ მასწავლებელს, რომლებმაც პროფესიული საქმიანობა უკვე დაასრულეს, ფულადი ჯილდო გადაეცა.*** სტუმრებმა, მუნიციპალიტეტის მერს- ავთანდილ გულიკაშვილს სხვადასხვა სფეროში განხორციელებული ინიციატივებისა და პროექტებისთვის, პედაგოგების ღვაწლის დაფასებისთვის და თანადგომისთვის გულითადი მადლობა გადაუხადეს.



***როგორც მუნიციპალიტეტის მერმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, ამ ღონისძიებას გასულ წელს ჩაეყარა საფუძველი და ყოველ წელს უფრო მასშტაბური სახე მიეცემა - "თქვენი როლი განუზომელია, გულწრფელი მადლიერება მინდა გამოვხატო თქვენს მიმართ, პედაგოგის საქმიანობა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ამიტომ, თქვენი როლიც განსაკუთრებულია ქვეყნისა და მომავლის განვითარებაში. ამ საპატიო და ღირსეულ პროფესიას ჩვენი ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან დიდი მხარდაჭერა აქვს და წარმატება მინდა ვუსურვო თითოეულ თქვენგანს".***

წარმოდგენილი პროგრამა სპეციალურად მოწვეულმა მომღერალმა ნინო ჩხეიძემ სოლო კონცერტით დაასრულა.



## პენსიები იზრდება

**2024 წელს,** 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია გაიზრდება 50 ლარით და გახდება 415 ლარი. ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში 500 ლარამდე გაიზრდება.

70 წლამდე პირთა პენსია გაიზრდება 20 ლარით და შეადგენს 315 ლარს, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებთათვის პენსია შეადგენს 380 ლარს.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

## 2023 წლის 29 სექტემბერი

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გილაშვილი უძღვებოდა.***

***დღის წესრიგის გაცნობისა და კენჭისყრის შემდეგ დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თინათინ ძაბილაშვილმა. როგორც მან აღნიშნა:***



– დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2023 წლის 22 აგვისტოს №1530 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 22 აგვისტოს №1529 განკარგულებით და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 აგვისტოს №1551 განკარგულებით.

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზრდება 1462131 ლარით, შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტით გაიზრდება 1462131 ლარით, გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტით გაიზრდება 1462131 ლარით. ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა გაიზრდება 1462131 ლარით და შეადგენს 65028087 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 22 აგვისტოს №1530 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებაში და 2023 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ***მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გამოყოფილია 1098227 ლარი.*** კერძოდ, ***ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაკლებული თანხებით 51771 ლარით შემცირდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში*** კახეთის გზატკეცილი№13-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადისა და სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში კახეთის გზატკეცილი №15-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადისა და სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება. ***დამატებით დაფინანსდა სამი ახალი ობიექტი:***

ა) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***ბადიაურში*** კაკლების უბანში საავტომობილო გზის მოასფალტება – 522500 ლარი, პროექტის მთლიანი ღირებულება მიმდინარე წელს 550000 ლარია; თანადაფინანსება 27500 ლარი გათვალისწინებულია ადგილობრივ ბიუჯეტში;

ბ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***მანავში*** მე-7 და მე-10 ქუჩების რეაბილიტაცია -373010 ლარი, პროექტის მთლიანი ღირებულება 392643 ლარია; თანადაფინანსება 19633 ლარი გათვალისწინებულია ადგილობრივ ბიუჯეტში;

გ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***თოხლიაურში*** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან მისასვლელი გზის მოასფალტება - 254488 ლარი, პროექტის მთლიანი ღირებულება 267883 ლარია; თანადაფინანსება 13395 ლარი გათვალისწინებულია ადგილობრივ ბიუჯეტში; (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე გამოთავისუფლდა 776988 ლარი).

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 22 აგვისტოს №1529 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის №301 განკარგულებაში და 2023 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხა 737507 ლარი კიდევ შემცირდა ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაკლებული თანხით 6096 ლარით. კერძოდ:

სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია - სოფელ ***უჯარმაში*** წყალმომარაგების სათავე კვანძის დრენაჟისა და მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები-5700 ლარით;

***სპორტული ობიექტების აღჭურვა***, რეაბილიტაცია, მშენებლობა - სოფელ ***მარიამჯვარში*** მინი სტადიონის მოწყობა - 396 ლარით;

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 აგვისტოს №1551 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებაში და მუნიციპალიტეტისთვის სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილია 370000 ლარი, რომელიც აისახება ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციის სხვა ხარჯების კაპიტალური ტრანსფერის მუხლში.

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელწოდების არმქონე ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების შესახებ“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს“ კომისიის ***თავმჯდომარემ ლევან როსტიაშვილმა.***

***საკითხის ა.ი.პ. „საგარეჯოს ჯ.ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლის 2022 წლის წლიური ანგარიშის მოსმენის შესახებ“*** მოხსენება გააკეთა ამავე სამუსიკო სკოლის ***ბუღალტერმა მარინა ესაიაშვილმა.*** მომხსენებელმა ისაუ-



ბრა სკოლის მიერ გაწეულ მუშაობაზე

ა.ი.პ. საგარეჯოს ჯ.ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლის 2022 წლის სუბსიდიის და საკუთარი შემოსავლების ხარჯვა.

სუბსიდია 2022 წლის 190250.00 ლარი. საკუთარი შემოსავალი 18000.00 ლარი. სულ: 141.200 ლარი.

***ხარჯვა.***

სუბსიდია გაცემულია ხელფასზე 181140-87 ლარი.

ოფისი: ბუნებრივი აირის ხარჯი 8232.39 ლარი, ელექტროენერგიის ხარჯი – 831.85 ლარი,მიმდინარე

რემონტის ხრჯი – 5999.00 ლარი, წყალმომარაგების მრიცხველის შეძენის ხარჯი – 400.00 ლარი,

ფინანსისტთა ასოციაცია – 4000.00 ლარი, შპს „სუფთა გარემო“ – 340,80 ლარი.

***საკუთარი შემოსავლები:***

ხელფასი – 14357.97 ლარი.

ოფისი და კომუნალური: 3292.87 ლარი.

ს/ს „სილქნეტი“ – 120.00 ლარი.

შ.პ.ს. „მაგთიკომი“ – 961.17 ლარი.

შ.პ.ს. „გარანტი“ – 900.00 ლარი.

დასუფთავების მოსაკრებელი – 109.50 ლარი.

ი/მ გიორგი ალექსაშვილი – 80.00 ლარი

შ.პ.ს. „პენსან ჯორჯია“ (საწერი ქაღალდი) – 90.00ლარი.

ი/მ ვასილ ტურიაშვილი (მოწმობები) – 187.20 ლარი.

შ.პ.ს. „ეკო ბოჰემია „ – 52.00 ლარი.

პსპ “ფარმა„ – 34.50 ლარი.

112 –ის მომსახურების – 29.20 ლარი.

არამესაწარმეო(არკომერციული) იურიდიული პირი,საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლაში 2022 წელს სწავლობდა 212 მოსწავლე.

**ჩატარებული ღონისძიებები.**

2022 წლის 7 მარტი მე- 3 კლასის შემოწმება.

ანსამბლში ჩათვლა 10 მაისი.

ჩათვლა პოლიფონია ეტიუდსა და გამაში - 17 მაისი.

ჩათვლა აკომპანიმენტში - 20 მაისი.

გეგმით გათვალიწინებული ნაწარმოებების მოსმენა. მე -2, მე-3, მე-5 კლასში- 23 მაისი.

დახურული კონცერტები 24,25,27,28 მაისი.

მე-4 კლასის გამოცდა სოლფეჯიოში -27 მაისი.

მე-6 კლასის გამოცდა სოლფეჯიო - 30 მაისი.

მე-4 კლასის გამოცდა ფორტეპიანო - 31 მაისი.

მე-6 კლასის გამოცდა მუს.ლიტერატურა - 3 ივნისი.

მე-6 კლასის გამოცდა ფორტეპანო - 6 ივნისი.

14 ივნისს სკოლაში ჩატარდა საანგარიშო კონცერტი.

2022 წლის 15 სექტემბრიდან სკოლაში განახლდა სასწავლო პროცესი.

ჩათვლები პოლიფონია,ეტიუდსა და გამაში - 26 ნოემბერი.

ჩათვლა აკომპანიმენტში - 21 ნოემბერი.

გეგმით გათვალისწინებული ნაწარმოებების მოსმენა - 22- 25-26 ნოემბერი.

პირველი კლასის შემოწმება(მოსმენა) – 7 დეკემბერი.

მე-6 კლასის შემოწმება მუს.ლიტერატურაში - 9 დეკემბერი.

მე-6 კლასის შემოწმება სოლფეჯიოში - 12 დეკემბერი.

ჩათვლა ანსამბლში - 14 დეკემბერი.

მე-6 კლასის შემოწმება ფორტეპიანოში - 15 დეკემბერი.

***დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე შპს „საგარეჯოს“ დირექტორის თამაზ კუჭუაშვილის 2022 წლის წლიური ანგარიშის მოსმენის შესახებ“ მოხსენება გააკეთა შპს „საგარეჯოს“ დირექტორმა თამაზ კუჭუაშვილმა. როგორც მან აღნიშნა:***



– შ.პ.ს „საგარეჯოს“ საქმიანობა მოიცავს მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი სოფლების გზების მოწესრიგებას.2022 წელში მუნიციპალიტეტის მერიიდან და სოფლის რწმუნებულებებიდან შემოსულია 170 განცხადება.რწმუნებულები მოითხოვდნენ გზების მოხრეშვა მოშანდაგებას,რომელიც შესრულებულია ჩვენს მიერ.

შპს „საგარეჯო-“ს 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 350 000 ლარს თებერვლის თვეში დაემატა 38500 ლარი, საიდანაც თითოეულ თანამშრომელს დაემატა 125 ლარი.

ივლისის თვეში ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა ტრანსპორტის საწვავის შესაძენად 20 000 ლარი.

აგვისტოს თვეში ბიუჯეტიდან გამოიყო 94 400 ლარი, მიმდინარე შეკეთებითვის 39 990ლარი

4500 ლარით შეძენილ იქნა კაკაბეთის წყლის გადასახადის ღირებულების აღრიცხვიანობისათვის კომპიუტერი, პრინტერი და დენის უწყვეტი კვების ბლოკი, 50 000 ლარი დიზელ საწვავის შსაძენად.

შპს „საგარეჯო“-ს დირექტორის ბრძანებით სახელფასო დანამატის გასაცემად 12800 ლარი გადმოტანილი იქნა მიმდინარე შეკეთების ხარჯიდან, წლის ბოლოსათვის სახელფასო ფონდმა შეადგინა 228 480 ლარმა.

2022 წლის ბიუჯეტი 1 იანვრისთვის დამტკიცებული იქნა 350 000ლარით, 2022 წელში მთლიანი დანამატია 152 900 ლარი და მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 502900 ლარი.

კაკაბეთის წყლის გადასახადმა მოსახლეობიდან შეადგინა 82109 ლარი, აქედან იანვარ -თებერვლის შემოსავალი 32 350 ლარი, შტანილია ბიჯეტში, 661 ლარით შეძენილია წყალსადენის გამართულად მუშაობისათვის საჭირო ინვენტარი ანგარიშზე 2023 წლის 1 იანვრისათვის დარჩა 49 098 ლარი.

2022 წლის ბიუჯეტიდან გეგმით 502 900 ლარიდან ფაქტიურად გაიხარჯა 454 180 ლარი.

სხდომაზე წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ კითხვები დასვეს და აზრი გამოთქვეს საკრებულოს წევრებმა.

***საკითხი შპს „საფეხბურთო კლუბ საგარეჯოს გარეჯის“ დირექტორის ლაზარე დათუნაშვილის 2022 წლის ფინანსური ანგარიშის შესახებ“ წარმოადგინა შპს „საფეხბურთო კლუბ საგარეჯოს გარეჯის“ ბუღალტერმა მარინა ჯავახიშვილმა. როგორც მან აღნიშნა***

– 2022 წელს შპს „საფეხბურთო



კლუბ საგარეჯოს გარეჯის“ დაფინანსება შეადგენდა 71 500 ლარს . დაგვემატა 113 264 ლარი: 7000 ლარი ხელფასის დანამატებისთვის, 100 000 ლარი კვებისთვის, სპორტული ინვენტარისა და ეკიპირებისთვის, 6264 ლარი პრემიის თანხა.

2022 წელს შპს „საფეხბურთო კლუბ საგარეჯოს გარეჯის“ დაფინანსებამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგინა 184 764 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან შემოსული თანხა გაიხარჯა შემდეგნაირად:

ხელფასი-89307 ლარი.

ოფისის ხარჯი 2 510 ლარი.

მივლინება 23 670 ლარი.

ტრანსპორტით მომახურება – 48 180 ლარი.

სამედიცინო ხარჯი 91 ლარი.

სხვა ხარჯი 20 978 ლარი.

სულ 184 736 ლარი

2022 წელს კლუბში ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან შემოვიდა: 1 134 059 ლარი. ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან 99 095 ლარი. სულ 1 233 154 ლარი

დამფუძნებლის მიერ შემოტანილი იქნა 118 561 ლარი.

გაიხარჯა ასე :

ხელფასი 633 301 ლარი

პრემია 5394 ლარი

ოფისის ხარჯი 5098 ლარი

სამედიცინო ხარჯი 7388 ლარი

კვება 1428 ლარი

საწვავი 23 970 ლარი

*დასასრული მე-4 გვერდზე*

# „ინფრასტრუქტურა-2023“

## რეკრეაციული სივრცე

### სოფელ შიბლიანში ახალი რეკრეაციული სივრცის მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს

**სოფელ** შიბლიანს, მალე ახალი მრავალფუნქციური და რეკრიაციული არეალი დაამშვენებს. ადგილობრივი ახალგაზრდების სურვილის გათვალისწინებითა და მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით, პროექტის განხორციელება უკვე დაიწყო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა**, პირველ მოადგილესთან **ემზარი კუჭუაშვილთან**, ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან, **ბექა ფეიქრიშვილთან** და სოფლის წარმომადგენელთან ერთად სამუშაოები ადგილზე მოინახულა, კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა, მოსაზრებები მოისმინა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სიზუსტით და გეგმა-გრაფიკის დაცვისკენ შესრულებისკენ მოუწოდა.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომლის ღირებულება 215 012 ლარია და სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "გლობალ სტანდარტმშენი" ახორციელებს.



## უწყვეტი წყალმომარაგებისათვის



**მოსახლეობის** სასმელი წყლის უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით, სოფელ **იორმუღანლოში** მაგისტრალური მილსადენისა და წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა. ხელშეკრულების ფარგლებში დაგეგმილია საქლორატორო ნაგებობის მშენებლობა.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 1 064 995 ლარს შეადგენს.

სამუშაოების დასრულების შემდგომ, სოფლების: იორმუღანლოს, თულარისა და ლამბალოს მოსახლეობა უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

Əhalinin fasiləsiz olaraq içməli su ilə təmin edilməsi məqsədilə Yormuğanlo kəndində magistral kəmərin və su anbarının təşkili işləri yekunlaşmaq üzrədir. Müqavilə çərçivəsində xlorlama qurğusunun tikintisi nəzərdə tutulub.

Layihə yerli büdcədən maliyyələşdirilir və onun dəyəri 1 064 995 laridir.

İşlər başa çatdıqdan sonra Yormuğanlo, Tulari, Ləmbalo və kəndlərinin sakinləri fasiləsiz su təchizatından yararlanacaqlar.

## გარე განათების მოწყობა დასრულდა

**„სოფლის** მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, მაღალმთიან სოფელ სასადილოში, ცენტრალურ გზაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები დასრულდა.



*ქეთი გრატიაშვილი,*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი***

# სპორტი

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

## ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი საგარეჯოში



**6-7-8 ოქტომბერს** საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტულმა დარბაზმა კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან ასპარეზობას უმასპინძლა. ***ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექციის მწვრთნელ*** **თამაზ ყიფიანის** ორგანიზებით და სპორტგაერთიანების დირექციის თანადგომით, ეს უკვე მერამდენედ, ჩატარდა **ვასილ ლაფაჩიშვილის** სახელობის ღია რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ქუთაისის, წყალტუბოს, აფხაზეთის, თბილისის-4, რუსთავის-3, პანკისის, ახმეტის, სიღნაღის და სხვა მუნიციპალიტეტების 250 მოჭიდავე, მათ შორის სომხეთის ნაკრები გუნდი 34 მოჭიდავით. შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფში: 2008-2009-2010 და 2011-2012 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის ჩატარდა.

პირველ 2008-2009-2010 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში ყიფიანის აღსაზრდელებმა ორო ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. პირველი ოქრო და ჩემპიონის ტიტული ჩვენებურ მოჭიდავეებს 48კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **ლუკა თედიაშვილმა** შესძინა, რომელმაც ფინალურ ორთაბრძოლაში აშკარა უპირატესობით დაჯაბნა სომხეთის ნაკრების წევრი მოწინააღმდეგე.



წლევანდელი საქართველოსა და ევროპის ჩემპიონატების ფინალების გაგრძელება იმედის მაყურებელმა იხილა საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის **ლუკა მარტიაშვილისა** და ქუთაისელი ქვარცხავას საფინალო შეხვედრისას, სადაც როგორც ზემოაღნიშნულ ასპარეზობებში, საგარეჯოელმა ფალავანმა მეტოქეს მოფიქრების დროც კი არ მისცა და 15 წამში 5 ქულიანი სუფთა გდებით ხალიჩაზე გააკრა.

ასპარეზობაზე 85 კგ წონით კატეგორიაში ერთმანეთს ძველი მეტოქეები წლევანდელი საქართველოს ჩემპიონი საგარეჯოელი შოთა ტაბატაძე და ქუთაისელი თემურ სიმსივე დაუპირისპირდნენ, სადაც საქართველოს ჩემპიონატისაგან განსხვავებით ჩემპიონი სიმსივე გახდა, ტაბატაძე კი მეორე ადგილზე გავიდა. ამავე წონაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა საგარეჯოელმა საბა ტარუღიშვილმა. ასევე მესამე ადგილი დაიკავა ამ ასაკობრივ ჯგუფში 75კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე თოხლიაურელმა **საბა ტაბატაძემ.**

2011-2012 წლიანთა ჯგუფში საგარეჯოელთაგან ჩემპიონი გახდა **დავით მაისურაძე** (57კგ) 85კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა **საბა ჩომახაშვილმა.** ყველაზე პატარა **ნიკოლოზ ყიფიანმა** ასევე ვერცხლის მედალი მოიპოვა 20კგ წონით კატეგორიაში, რომელმაც ფინალი სომხეთის ნაკრების წარმომადგენელთან დათმო.

გუნდურ ჩათვლაში სომხეთის ნაკრების შემდგომ მეორე ადგილი საგარეჯოს გუნდმა დაიკავა. **ვასილ ლაფაჩიშვილის** სახელობის თასი საუკეთესო ჭიდაობისათვის ლუკა მარტიაშვილს გადაეცა.

– ამ ასპარეზობისა და ჩვენი წლევანდელი შედეგების მიხედვით ჩვენი სექცია, ევროპის ქალაქებში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, განაცხადა ასპარეზობის შემდგომ საგარეჯოში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის დამაარსებელმა, მწვრთნელმა თამაზ ყიფიანმადა უახლოეს მომავალში კიდევ არაერთი ევროპისა და მსოფლიო დონის წარმატებით ასახელებს საგარეჯოსო. ვნახოთ, ***თამაზ ყიფიანმა ლუკა მარტიაშვილის სახით წარმატებით აასრულა ამ წლის დასაწყისში ჩვენთვის მოცემული პირობა და იმედია ამ ახალ დაპირებასაც გაანაღდებს.***

## ქართული ჭიდაობა

## გარეჯელები— ზედიზედ მესამედ კახეთის გუნდური ჩემპიონები



**5-6 ოქტომბერს** საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტულ დარბაზში კახეთის ქართული ჭიდაობის ფედერაციისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თანადგომით ჩატარდა კახეთის გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში 2011-2012 წლებში დაბადებულ მოსწავლე-სპორტსმენთა შორის, რომელშიც კახეთის ყველა მუნიციპალიტეტის მოჭიდავეთა გუნდი იღებდა მონაწილეობას. მათ შორის, რა თქმა უნდა ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ნაკრები გუნდი შემდეგი შემადგენლობით: ***გაბრიელ კოხტაშვილი (28კგ), ლუკა კურდღელაშვილი (32კგ), ერეკლე ჭიკაძე (36კგ), ალეკო ბეჟიაშვილი (42კგ), გიორგი ათაბეგაშვილი (46კგ), მათე მათიაშვილი (50კგ) და ზუკა აზნაურაშვილი (+50კგ).***

საგარეჯოელებს უკვე ორჯერ ჰქონდათ მოპოვებული კახეთის ჩემპიონის ტიტული და ტრადიცია არც ამჯერად დაარღვიეს.

პირველ შეხვედრაში ჩვენმა მოჭიდავეებმა დაამარცხეს გურჯაანელი მოწინააღმდეგეები და შემდეგ ყველა დანარჩენი მეტოქეები და ანგარიშით 4:0 დამსახურებულად გახდნენ კახეთის ჩემპიონები –ეს უკვე მესამედ.

მეორე ადგილი დაიკავა ყვარლის მუნიციპალიტეტის, მესამე კი გურჯაანის სპორტგაერთიანების გუნდმა.

ასპარეზობის დასასრულს გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. მედლების, თასებსა და სიგელებთან ერთად, როგორც ჩემპიონები, ჩვენი მოჭიდავეები დაჯილდოვდნენ კახეთის გმირი მეფის – ერეკლე მეორის პორტრეტით.

*გივი დაბახიშვილი*

# 5 ოქტომბერი მასწავლებელთა საერთაშორისო დღეა!

## დამსახურებული მასწავლებლის წოდება პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ჯილდო
## დაფასება, რომელიც ადვილად ვერ მიიღწევა



*საგარეჯოს IV საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს ანა (ნანა) დავითაშვილს აგვისტოს ბოლო რიცხვებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით* საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა. *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა კი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მომავალი თაობების აღზრდა-განათლებაში შეტანილი წვლილისათვის, ჯილდო გადასცა და მადლიერება გამოხატა მისი პედაგოგიური მოღვაწეობის მიმართ, წარმატებები უსურვა მომავალი თაობების აღზრდა-განათლების საქმიანობაში.*

*ქ-ნი ნანა მართლაც იმსახურებდა ამ დიდ ჯილდოს... ვისაც მასთან უმუშავია, ვინც მას იცნობს, ან შეხების წერტილები ჰქონია, ყველამ იცის, როგორი სიყვარულით, პასუხისმგებლობით ეკიდება მის მიერ არჩეულ პროფესიას, ჩუმი რუდუნებით როგორ ამოჰყავს ცოდნის საძირკვლიდან ცოდნის ტაძრის კედლები თითოეულ მოსწავლეში, როგორი მომთხოვნია, მაგრამ ძალიან ლმობიერი, როგორი მკაცრია, მაგრამ ძალიან ყურადღებიანი... მისი თითოეული ნაბიჯი, ყოველდღიური საქმიანობა მიმართულია სკოლის თითოეული მოსწავლისადმი ყურადღებისა და იმ წარმატებების შენებისკენ, რასაც სკოლა, დღიდან ფუნქციონირებისა, აღწევს და მომავალშიც მიაღწევს.*

*ამ დღეებში შევხვდი ქ-ნ ნანას. ემოციები ჯერაც რომ არ განელებია. და რა არის, იცით?! გამაოცა მისმა თავმდაბლობამ, რომელიც ჩვენი ნაცნობობის ხანგრძლივ პერიოდიდან არ შეცვლილა – ისე მესაუბრება, თითქოს სხვა უფრო ღირსეული იყოს, სხვას უფრო ეკუთვნოდეს ეს ჯილდო, მაგრამ სიხარულსაც ვერ მალავს და ვერც იმ ვალდებულებას, რაც ამ ორმა დიდმა ჯილდომ მოუტანა სამომავლოდ საკეთებელი.*

*საუბარი ბიოგრაფიული ცნობებით დავიწყეთ, შემდეგ ვისაუბრეთ სკოლაზე, რომელიც დღიდან დაარსებისა, წარმატებებს წარმატებებზე აღწევს და წელს 45 წელი შეუსრულდა – დიახ, საგარეჯოს IV საჯარო სკოლა ერთ-ერთი საჩვენებელი სკოლა იყო და არის კახეთის მხარეში. აქ დღიდან ფუნქციონირებისა, საერთაშორისო დელეგაციები არ მოჰკლებია ამ სკოლას, რომელსაც ერთობ მკაცრი, მომთხოვნი, დისციპლინირებული დირექტორი, აწ განსვენებული მარატი პიტიურიშვილი უძღვებოდა. ქ-ნო ნანა, ჩვენი საუბრის მსვლელობაში გთხოვთ გვითხრათ, როგორ ახერხებს თითოეული პედაგოგი დღევანდელობისთვის ფეხის აწყობას – სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, სკოლისგარეშე, კლასგარეშე მუშაობა და ამასთან, ქვეყნისა თუ საერთაშორისო მნიშვნელობის დელეგაციები... გთხოვთ გვითხრათ, რა არის ის, რასაც მოსწავლეებში სიყვარული მოაქვს პედაგოგისადმი და თანაც ისეთს, ისეთს თქვენს მოსწავლეებს და ყოფილ მოსწავლეებსაც ასე რიგად რომ უყვარხართ, ხომ ვერ გვეტყვით რეცეპტს... და კიდევ, მართალია, დღესაც გეტყობათ ემოციების კვალი, მაგრამ მაინც, გულახდილად გვითხარით, რა გრძნობა, რა ემოციები გქონდათ, როცა მუნიციპალიტეტის მერმა სიყვარულით მოგილოცათ პედაგოგის საპატიო წოდება და გადმოგცათ ჯილდო. და აქვე გვითხარით, როგორ მიულოცავთ მასწავლებელთა დღეს თქვენს კოლეგებს?*

– დავიბადე 1947 წელს ყვარლის რაიონის სოფელ წიწკანაანთსერში. 1964 წელს დავამთავრე ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლა.

1965 წელს ჩავირიცხე თბილისის პუშკინის სახელმწიფო პედინსტიტუტში ბიოლოგია-ქიმიის ფაკულტეტზე. რომელიც დავამთავრე 1969 წელს. მუშაობა დავიწყე ყვარლის რაიონის სოფელ წიწკანაანთსერის სკოლაში, სადაც მამაჩემი სოლომონ დავითაშვილი იყო სკოლის დირექტორი. ჩემს პედაგოგიურ დახელოვნებაში მამაჩემს დიდი წვლილი მიუძღვის, მეხმარებოდა გაკვეთილების მომზადებაში და თითოეულ მოქმედებას, გადმოცემის დიქციას მიმოწმებდა.

რაც შეეხება ჩემს ოჯახს, 1970 წელს შევქმენი ოჯახი. ჩემი მეუღლე – თამაზ კევლიშვილი გავიცანი თბილისში, სტუდენტობის პერიოდში, ერთ ეზოში ვცხოვრობდით.

გვეყოლა სამი შვილი. პირველი შვილი დამეღუპა 2 თვის. შემდეგ ქეთი და გიორგი, ორივეს ვზრდიდი მარტო.



ქეთიმ – ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი, გიორგიმ საგარეჯოში არსებული ჰუმანიტარული ინსტიტუტის მეღვინეობის ფაკულტეტი დაამთავრა.

1971 წელს გადმოვედი სოფელ გიორგიწმინდის სკოლაში ქიმიის მასწავლებლად, სკოლა იყო დღევანდელი მოქმედი ეკლესიის ეზოში, პატარა. შემდეგ აშენდა ახალი საჯარო სკოლა, სადაც ვიმუშავე 1978 წლამდე, ეს წლები ჩემს მოგონებებში ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად დამრჩა.

1978 წელს საგარეჯოში IV საჯარო სკოლა გაიხსნა, სადაც დავინიშნე ბიოლოგიის მასწავლებლად. ჩვენი სკოლა გახსნის დღიდან რესპუბლიკაში ერთ-ერთი საჩვენებელი სკოლა იყო და დღესაც არის. ჩვენ გვყავდა ერთობ მკაცრი, მომთხოვნი, დისციპლინირებული დირექტორი, აწ განსვენებული მარატი პიტიურიშვილი. ეს დისციპლინა, მომთხოვნელობა, სიმკაცრე დღემდე გვაქვს ჩვენს მასწავლებლებს.

მარატის შემდეგ დირექტორად დაინიშნა არანაკლებ მკაცრი, მომთხოვნი, თითოეული თანამშრომლის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ქალბატონი ციცინო კვასხვაძე. მე დამნიშნა მოადგილედ, ეს წლებიც ჩემთვის საუკეთესო წლებად ასოცირდება.

მალე ქ-ნი ციცინო გადავიდა რაიონის განათლების რესურს-ცენტრის უფროსად და

*დასასრული მე-5 გვერდზე*

## ახალი ლექსები



*საქართველოს წარმატებული ადამიანების დაჯილდოების ცერემონია პერსონა წარმოგიდგენთ „პერსონა 2023" - წლის ტიტულზე პოეტს, პედაგოგს და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლის დირექტორს ლია შენგელიძეს, საგანმანათლებლო და ხელოვნების სფეროში შეტანილი წვლილისთვის. ლია შენგელიძე დაიბადა 1964 წლის 1- ლ იანვარს, საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურაში, პედაგოგის ოჯახში, წარმატებით დაამთავრა მშობლიური სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის (ყოფილი) ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგაც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაუბრუნდა მშობლიურ სკოლას, პარალელურად იყო რაიონული გაზეთის „ივრის განთიადი" შტატგარეშე კორესპონდენტი.*

*ლია ბავშვობიდან წერდა ლექსებს, ჩანახატებს, აქვეყნებდა ქართულ პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში, მონაწილეობდა სხვადასხვა ლიტერატურულ ღონისძიებებში. არის საქართველოს მწერალთა გაერთიანებული კავშირის წევრი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.*

*2014 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლას, ამავდროულად, ეწევა აქტიურ ლიტერატურულ საქმიანობას; მისი ლექსები იბეჭდება აკადემიის ჟურნალ „ათინათსა „ და ანთოლოგიაში, არის რამდენიმე პოეტური კრებულის თანაავტორი.*

*ჰყავს მეუღლე, ორი ვაჟიშვილი და სამი შვილიშვილი.*

### ᲬᲧᲣᲠᲕᲘᲚᲘ

მე მინდა მინდვრის ყვავილები
ისე ვაგროვო,
რომ ყვავილებმა არასოდეს
შეწყვიტონ სუნთქვა,
დილის მზის ღიმილს შევეგებო
სიცოცხლის მაცნედ,
მიყვარხარ ძლიერ!- ჩემს სამშობლოს
ხმამაღლა ვუთხრა!
მინდა, კვლავ მინდა, მოვისმინო
შენი სიმღერა,
ტკბილი ჰანგები მოგონებით დღესაც
მალაღებს.
ო, როგორ მინდა, კიდევ ერთხელ
შევავლო თვალი,
გადავიკარგო მერე თუნდაც,
სულ არ მანაღვლებს.
ბრმას და დავრდომილს
გავუწოდო საშველად ხელი,
სიცოცხლის სხივი დავუბრუნო
მიმქრალ თვალებში,
მინდა შევიგრძნო სიხარული
იმათი მზერით,
შემობრუნების აღტაცების
სიმხურვალეში.
სამყაროს სუნთქვას მეყსეულად
დავუგდო ყური,
ანგელოზებმა მომანიჭონ მადლი
მკურნალის,
მინდა სარეცელს მინდობილებს
გავუთბო გული,
ყველას სიცოცხლის დავუბრუნო ძალი,
უნარი.
მდინარეები კალაპოტში დიოდნენ
მშვიდად,
ზღვა არწივივით გამყივან ხმით
აღარ კიოდეს,
მწვერვალებს თოვლის საფარველი
თავს ადგეს ჯიღად,
მთიდან ლოდები ტყვიებივით
აღარ ცვიოდეს.
მშვიდობა იყოს კიდით- კიდეს
სამყაროს ექო,
ომის სიმწარე არ ენახოს
ქვეყნად არავის,
ცად მზის ნათელი ლამპარივით
იმედად ენთოს,
არ დაეწრიტოს საქართველოს
მტკვარი, არაგვი...
შვილის ტკივილი არ ენახოს
დედას აროდეს,
ბედნიერებით ცას სწვდებოდეს
დედობის მადლი,
შვილის სიცოცხლით ყველა
დედა მინდა ხარობდეს,
ქედს უხრიდნენ და თაყვანს
სცემდნენ ქალს, დედის მანდილს.
თავშესაფარი მინდა ჰქონდეს
გლახა- მათხოვარს,
არსად არავინ არ ტიროდეს,
არვის ციოდეს,
უფალს მადლობას უთვლიდნენ და
არა- სამდურავს,
დიდს და პატარას არასოდეს
არსად შიოდეს.
მინდა სიცოცხლე დავასრულო
ისე, იმგვარად,
მოსვლის მისია აღვასრულო
ისევ და ისევ,
რომ გარდასული მივეახლო
აღსავლის კართან,
უჟამ- უხანო ჩემს მაცხოვარს,
იესო ქრისტეს!

***

ეს არის ჩემი სულის ცხონება!..
ვინც ეზიარა მშობლიურ მიწას,
ბედნიერების პოვა სავანე.
ქართული ჯიშის სურვილით მიცან:
აქ გამითხარე ბოლოს სამარე!
ჩემი სიმდიდრე, ჩემი ქონება,
ეს მიწა არის, თუნდ- ერთი პეშვი.
ეს არის ჩემი სულის ცხონება,
ჩემი საუნჯე და ჩემი ფესვი.
გავახსენდები როდესაც სიკვდილს,
მომწვდება თავის უნდო ხელებით,
მინდა, შევიგრძნო სურნელი მიწის,
ქართული მადლით და გახელებით!

### უკუქცევა

მიდის, ილევა წუთისოფელი,
დრომ შეიბნია ოქროს ღილები.
ტალღად მოსულნი ცხოვრების ზღვაზე,
ისევ ტალღადვე მივედინებით.
ცოცხალი ხე და ძარღვებში სისხლი ,
უსიტყვო ქვა და მკვდარი არსება,
ლამაზი დღე და გაშლილი გული,
დამშრალი წყარო და დახავსება,
ნაზი ყვავილი და მოფერება,
მდუმარე ღამე და დაღონება,
თბილი ცრემლი და გამოდარება,
ერთხელ სიკეთე და გაოგნება,
მონატრება და ტკბილი ზმანება,
უიმედობა და გარდაცვალება.

### ბერი ბერდია

თოვლმა ითოვა ამ დილით,
ჩამოათეთრა ქედები,
მთებს შეეხიზნენ ნისლები,
ფეხაკრეფით და ვედრებით.
გაისმა შაშვის ჭახჭახი
გაძარცვულ ხეთა ტოტებში.
ბებერ ჯირკს დაჩეხს ნაჯახით,
ჩაფლულს, გადამხმარ ფოთლებში,
თეთრწვერა, ქალამნიანი,
ობლადრჩენილი ბერდია,
გახედავს სოფელს უკვამლოს,
ჩაიბუტბუტებს: ბედია...
მარტოობაში მომიწევს
გამოზამთრება ისევ წელს,
ცალ ხელით შეშას დასწვდება,
ცალს შემოიდებს მტკივან წელს.
მთებს შეხიზნული ნისლები
ნელ- ნელა თავქვე მოცოცავს,
ხევხუვში მგლები ყმუიან,
ბოსელს დარაჯობს ბოცოცა.
ჩასძინებია მთის სოფელს,
ეს ძილზე უფრო მეტია...
ბუხრიდან კვამლი ამოდის,
ცეცხლთან თვლემს ბერი ბერდია.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**2023 წლის 29 სექტემბერი**



**დასასრული**

მივლინება 180 530 ლარი

სხვა ხარჯი 505 457 ლარი

სულ 1 362 566 ლარი.

***შპს საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი 2022 წელი სპორტული ღონისძიებები და მიღწევები.***

შპს „საფეხბურთო კლუბ საგარეჯოს გარეჯში“ 2022 წელს სპორტსმენების რაოდენობამ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში შეადგინა 230 სპორტსმენი.

15 წლიანები - 35 სპორტსმენი

17 წლიანები - 37 სპორტსმენი

19 წლიანები - 45 სპორტსმენი

კახეთის 2008-9 წლიანები- 35 სპორტსმენი

კახეთის 2010-11 წლიანები – 41 სპორტსმენი

“რეგიონალური - 37 სპორტსმენი

საგარეჯოს გარეჯი მონაწილეობდა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებაში. ითამაშა მე-8 ფინალი.

საგარეჯოს გარეჯი მონაწილეობდა ეროვნული ჩემპიონატის ლიგა 2-ის გათამაშებაში. დაიკავა მე-5 ადგილი.

რეგიონალური ლიგის 2022 წლის ჩემპიონატზე დაიკავა მე-8 ადგილი

2022 წელს ასაკობრივი 15 წლიანთა ლიგის ჩემპიონატზე დაიკავეს მე-7 ადგილი

17 წლიანთა ლიგის ჩემპიონატზე დაიკავეს მე-10 ადგილი.

19 წლიანთა ლიგის ჩემპიონატზე დაიკავეს მე-5 ადგილი.

აფხაზეთის ჩემპიონთა ლიგა 2009-10 წლიანთა შორის დაიკავეს ადგილი- მე-6 ადგილი

აფხაზეთის ჩემპიონთა ლიგა 2011 წლიანთა შორის დაიკავეს მე-4 ადგილი კახეთის 2022 წლის ჩემპიონატზე 2008-2009 წლიანებში მე-2 ადგილი

კახეთის 2022 წლის ჩემპიონატი 2010-2011 წლიანებში – მე-8 ადგილი.

***სხდომაზე წარმოდგენილ თითოეულ საკითხზე საკრებულოს სხდომაზე მიღებული იქნა შესაბამისი დადგენილება.***

## ყურადღება!



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური აცხადებს კონკურსს მოყვარულ ფოტოხელოვანთათვის:

„შემოდგომის ფერები“

**ფოტოკონკურსის მიზანი:**

**გამოავლინოს** ნიჭიერი, შემოქმედებითი ფოტომოყვარულები. ხელი შეუწყოს ფოტოგრაფიის, როგორც ხელოვნების დარგის, პოპულარიზაციას.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფოტოები სხვადასხვა ჟანრში.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 14-29 წლის ახალგაზრდებს;

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს 5 ფოტო, მიუთითოს სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი;

ფოტოს გადაღება შესაძლებელია ნებისმიერი მოწყობილობით (მობილური ტელეფონით, ფოტოაპარატით, ვიდეოკამერით და სხვა);

საკონკურსო ფოტო უნდა იყოს კონკურსანტის გადაღებული/მომზადებული. ინტერნეტში მოძიებული ფოტო კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებს;

კონკურსში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელიც დაჯილდოვდება ფასიანი საჩუქრით.

მონაწილეებმა ფოტოები უნდა გამოგზავნონ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით, ელექტრონული ფოსტით, შემდეგ მისამართზე:

***ახალგაზრდული.სამსახური gmail.com***

საკონკურსო ნამუშევრებს განიხილავს და შეაფასებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით დამტკიცებული კომისია.

***საკონტაქტო პირები:***

ნინო მეზვრიშვილი -595 09 32 25

ირაკლი თულაშვილი - 593 30 46 04

ქეთევან ხაბაზიშვილი - 577 60 59 02

# 5 ოქტომბერი მასწავლებელთა საერთაშორისო დღეა!

## ვარსკვლავი გაუხსნეს

**15 სექტემბერს** სულიერების ნამდვილი ზეიმი იყო ნინოწმინდის საჯარო სკოლაში. სამი სასწავლო წლის კურსდამთავრებულებმა ზეიმით, დიდი სიყვარულითა და მადლიერებით აღნიშნეს დამრიგებლის, სკოლის ყოფილი მასწავლებლის, უნიჭიერესი ქალბატონის, ამაგდარი, მრავალი თაობის აღმზრდელის- **ნათელა კოჭლამაზაშვილის** დაბადების 78 - ე წელი, ვარსკვლავი გაუხსნეს ძვირფას ადამიანს, მოძღვარს, რომელიც რამდენიმე ათეული წელი ერთგულად, სიყვარულით, შემართებით ემსახურებოდა სოფლის ახალგაზრდობის სწავლა- აღზრდის საქმეს, რომლის ნიჭიერება, გულწრფელობა, პედაგოგიური კულტურა მაგალითია მრავალთათვის.

შთამბეჭდავი და ემოციური იყო, ნათელა მასწავლებლის თითოეული სიტყვა, ფრაზა, მისი ტკბილქართული! იყო სიხარული, სიყვარული, მადლიერება, ამაღლებული მგრძნობელობა, იყო ცრემლებიც... სიყვარულისა და მონატრების სიმძაფრე.

უფალმა დიდხანს გაცოცხლოს, ძვირფასო მასწავლებელო, უნიჭიერესო ქალბატონო!









# დამსახურებული მასწავლებლის წოდება პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ჯილდო

# დაფასება, რომელიც ადვილად ვერ მიიღწევა

**დასასრული**

ჩვენი სკოლის დირექტორად დაინიშნა უბადლო შემოქმედი, ენერგიული, უნარიანი, კოლექტივის ყველა წევრისთვის საყვარელი, ყველა საკითხში თანამდგომი, ჩვენი ჭირის, მწუხარების და სიხარულის გამზიარებელი თითოეული მოსწავლის ოჯახის წევრი, მათი ტკივილის და სიხარულის გამზიარებელი, ქ-ნი ნელი ბალახაშვილი.

დღევანდელობისთვის ფეხის აწყობა სასწავლო-საალმზრდელო პროცესში, სკოლის გარეშე, კლასგარეშე მუშაობაში წარმატებას მიაღწიო – რთულია, მაგრამ ჩვენ მაინც ვახერხებთ, ვასრულებთ ჩვენი პროფესიის ერთგულების გამო, ჩვენ გვიყვარს ჩვენი პროფესია და უპირველესად ბავშვები.

ბავშვმა რომ შენი საგანი ისწავლოს, ჯერ შენ უნდა შეგიყვაროს. მოდით, მათ ვკითხოთ. ერთია, რომ უზომოდ მიყვარს ჩემი პროფესია და ბავშვები. ბავშვებთან ურთიერთობისთვის აუცილებელია ურთიერთგაგება, თანადგომა, პატივისცემა. ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ მისი არა მარტო საგნის მასწავლებელი ხარ, არამედ მისი სულის ნაწილი.

რაც შეეხება ჯილდოებს, ენით ვერ გადმოვცემ, ეს იყო ერთადერთი, მოულოდნელი სიხარული, ბედნიერება ჩემს ცხოვრებაში. კიდევ ის, რომ ჩემი ყოფილი მოსწავლეები, რომლებიც წასულები არიან საზღვარგარეთ, როგორ თბილ სიტყვებს მწერდნენ, ასევე აქ ჩემი ნამოწაფრები, სიყვარულით, თბილი სიტყვებით მილოცავდნენ. ეს არის ჩემი უდიდესი სიხარული, ამას არანაირი სხვა სიმდიდრე არ შეედრება.

***მე მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გადავუხადო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს ავთანდილ გულიკაშვილს, საგარეჯოს რესურს-ცენტრის ყველა თანამშრომელს ლელა ფანოზიშვილის ხელმძღვანელობით, საგარეჯოს IV საჯარო სკოლის დირექტორს ქ-ნ ნელი ბალახაშვილს, ყველა ჩემს თანამშრომელს, ბავშვებს, მშობლებს, ყველას, ყველას.***

***ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს, უფლის და დედა ღვთისმშობლის მფარველობა ნუ მოჰკლებოდეთ. ამინ.***

5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა. ვულოცავ ყველა პედაგოგს ამ დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას, ულევ ენერგიას, შემართებას თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

# ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები

## მეშვიდეკლასელის თვალით დანახული საგარეჯო
## „მინდა უფრო ლამაზი იყოს ჩემი ქალაქი“



***მეშვიდეკლასელია**, მეშვიდე კლასი კი კარგად გახსოვთ, როგორიცაა – უამრავი ინფორმაცია, ცოდნა გიგროვდება სამყაროს შესახებ, საფუძველი ეყრება შენს პიროვნებად ჩამოყალიბებას, ცხოვრებისეული მოვლენების რეალურ აღქმას.*

*დიახ, სწორედ ამ სამყაროს რეალურად აღქმის პერიოდი აქვს საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელს **თათია თარიმანიშვილს**, რომელიც ისე ტრიალებს არა მარტო სკოლის, არამედ საგარეჯოში გამართულ ყველა ღონისძიებაში, როგორც საგარეჯოზე შეყვარებულ, მისი ქვეყნის დამამშვენებელ გოგონას შეეფერება. აქტიურად უდგას უფროსებს მხარში და თითოეულ მათ დავალებას ისე ხალისიანად ასრულებს, გულს რომ გაგიხალისებს. ამიტომაცაა, კადრში ხშირად ხვდება, უბრალოდ, იხილო თათიასნაირი სახეგაცისკროვნებული გოგონა და კადრში არ მოახვედრო, არ შეგიძლია. სულ ახლახანს, სექტემბერში გამართულ საღამოზე თათია არც ტელევიზიას დარჩა მხედველობის გარეშე და სახეაფოფინებულმა გოგონამ სიყვარულით ისაუბრა იმ საღამოს სილამაზეზე. ისე, სიმართლე გითხრათ, ყველაფერში, სულიერშიც და უსულოშიც, ჩვეულებრივ საგანშიც, სილამაზეს ეძებს და უფრო მეტად – სულიერებას. აი, როგორ დამიხასიათა თავისი დამრიგებელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თამუნა ტოპეშაშვილი – საუკეთესო მასწავლებელი, ძალიან მზრუნველი, თბილი, მისაბაძი ადამიანია (ისე, რამდენი, ალბათ, უამრავი ადამიანი ვეთანხმებით თათიას ამ შეფასებაში)*

*თათიამ გასულ წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების მხატვრული ტანვარჯიშის წრეზე დაიწყო სიარული და დღესაც აგრძელებს.*

– სულ პატარა ასაკიდან მიზიდავდა მხატვრული ტანვარჯიში და სახლში დამოუკიდებლად ვვარჯიშობდი. საგარეჯოში მხატვრული ტანვარჯიშის წრის გახსნისთანავე დავიწყე სიარული. ქ-ნმა მედეა ვეკუამ კიდევ უფრო შემაყვარა. იცით, როოგორ მახარებს და მაბედნიერებს ჩემი ასაკის და ჩემზე პატარა ტანმოვარჯიშეებთან ყოფნა და ვარჯიში?! *– მეუბნება თათია.*

***– მაშ, რას იტყვი ფიგურულ სრიალზე, დაინტერესდებოდი, შემოთავაზება რომ გქონდეს?***

– როგორ გითხრათ, როგორ, რა დოზით ვარ პატარაობიდანვე დაინტერესებული ფიგურული სრიალით და ჩოგბურთით და მინდა გითხრათ, რომ იმედი მაქვს, მომავალში მაინც იქნება საგარეჯოში სპორტის ეს სახეობები.

***– თავისუფალ დროს რას აკეთებ, როგორ ანაწილებ საერთოდ დროს?***

– პატარაობიდანვე მაინტერესებს ინგლისური ენა, ვცდილობ, ამ კუთხით რაც შეიძლება მეტი განათლება მივიღო. სულ ვცდილობ, თუ ჩამივარდა ისეთი სიტუაცია, ტურისტებთან კომუნიკაციაში შევიდე. მათემატიკის საგანი ჩემთვის სახალისოა და განსაკუთრებულადაც მიყვარს. თავისუფალ დროს ვუსმენ მუსიკას, ვკითხულობ მხატვრულ ლიტერატურას.

***– და საყვარელი პოეტი, მწერალი?***

– ანა კალანდაძე მიყვარს, სიამოვნებით და სიყვარულით ვკითხულობ გიორგი ლეონიძეს, ჩემს თანამემამულეს, ჩემს კლასელებსაც მოსწონთ ეს პოეტები.

***– რას იტყვი კლასელებზე, რას ნიშნავს შენთვის კლასი?***

– ჩვენ საბავშვო ბაღის ჯგუფიდან მოვდივართ და უკვე დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. და იცით, რა გვიხარია ყველაზე მეტად და პირადად ჩემს ემოციებს გეტყვით – ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენი ქალაქი გამოცოცხლდა.

გახსოვთ, გასულ სექტემბერში საგარეჯოში ჩატარდა ქალაქად გამოცხადების 60 წლისთავი. ისიც გახსოვთ, ალბათ როგორი გახარებული, აღფრთოვანებული იყო ყველა. ჩვენც, ჩვენი კლასელები უზომოდ გახარებულები ვიყავით, ეს იყო დაუჯერებელი, ამდენი სიხარული... შემდეგ უამრავი ლამაზი დღეები მოჰყვა, შემდეგ ნაყინის დღე და 9 სექტემბრის ისევ კონცერტი და გამოფენები. მინდა გითხრათ, რომ ამ ღონისძიებებში აქტიურად ვიყავი ჩართული. სურვილი დიდი მაქვს და ვცდილობ, ღონისძიების ორგანიზატორებს მივეხმარო აქტივობებში. იმდენად დიდი და ამაღლებული იყო ჩემი განწყობა 9 სექტემბრის საღამოს, რომ ეს ჩემი სიხარული მინდოდა სხვებისთვისაც გამეზიარებინა და რაც მთავარია, მადლობა მეთქვა ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისათვის და პირადად ბ-ნ ავთანდილ გულიკაშვილისათვის და მომეცა კიდეც შანსი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მიკროფონიდან მადლობა მოვიხადე და სურვილად გამოვთქვი, მოკლე დროში ასეთი სახალისო ღონისძიების კვლავაც ჩატარების. სურვილი ამისრულდა – 12 ოქტომბერს ჩემს ლამაზ, კოპწია, პატარა ქალაქში „ღვინის დღე“ გაიმართა, სადაც კვლავ დიდი გართობა, საინტერესო ღონისძიებები იყო.

***– და ბოლოს, როგორი გინდა იყოს შენი პატარა ქალაქი?***

– როგორი? ძალიან ლამაზი, საინტერესო, გამწვანებული, რაც შეიძლება ბევრი სპორტული მოედანი და საბავშვო სკვერები – გასართობებითა და ბავშვებით სავსე!

პირადად მე და ჩემს ამხანაგებს ძალიან გვიყვარს მუზეუმის ეზოში თამაში. აი, იქ რომ გასართობები იყოს, კარგი იქნებოდა.





## როცა ამ ქვეყნის შვილი ხარ
## ერთი ძმა სახლში, მეორე – ჯარში



**ყველა**, დაწერილი თუ დაუწერელი კანონი, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა, მიუხედავად ეროვნებისა და მრწამსისა, მისი ყოველი მკვიდრი ახალგაზრდისაგან მოითხოვს სამშობლოსადმი თავიანთი მხედრული მოვალეობის პირნათლად და სინდისიერად მოხდას, ცხადია, თუ მათ საამისო ჯანმრთელობა და საერთო მონაცემები უწყობთ ხელს. ახლა სწორედ ის დროა, როცა დადგა სამხედრო ასაკის ახალგაზრდების ამ მოვალეობის მოხდის, სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მორიგი გაწვევის პერიოდი – საშემოდგომო გაწვევა. ამიტომ ახლა, გაწვევის დღეებში მუდამ ხალხმრავლობაა მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურთან. წვევამდელებთან ერთად აქ მოდიან მათი „გამცილებლები“ – შინაურები, ახლობლები, მეგობრები. ასე იყო 4 ოქტომბერსაც, როცა ჩვენი ყურადღება ორ ახალგაზრდასთან „მოფუსფუსე“ ქალბატონმა მიიპყრო. პატარძეულელები, ბებია და მისი შვილიშვილები აღმოჩნდნენ – გაბროშვილები. ქალბატონმა ნინომ სიამოვნებითა და ერთგვარი სიამაყითაც გაგვაცნო თავისი შვილიშვილები – გიორგი და საბა, რომლებიც თავის მხრივ ასეთივე განწყობით გაგვესაუბრნენ თავიანთ შესახებ.

როგორც აღმოჩნდა, ძმებში უფროსმა, 19 წლის გიორგიმ დაამთავრა თუ არა პატარძეულის საჯარო სკოლის სრული კურსი, უყოყმანოდ ჩადგა ქვეყნის შეიარაღებული ძალების სამსახურში და ერთი წელი პირნათლად იმსახურა შსს სამინისტროს თბილისის სამგორის რაიონის ობიექტების დაცვის სამსახურში, საიდანაც სულ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა.

ჯარში ნამსახურებს გული ისე როგორ გაუძლებდა და უმცროს ძმას, როგორც ამ საქმეში უკვე გამოცდილებამიღებული ბებიასთან (ბებო რაიცენტრში სხვა საქმეზე იყო წამოსული) ერთად გამწვევ კომისიაზე გასამგზავრებლად გამოჰყვა. ანუ, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე – ერთი ძმა სახლში, მეორე – ჯარში.

რაც შეეხება ქვეყნის სამსახურში მიმავალ უმცროს ძმას. გიორგივით მანაც გოგლა ლეონიძის სახელობის პატარძეულის საჯარო სკოლა დაამთავრა წელს და როგორც კი გაწვევის უწყება მიუვიდა სახლში, უყოყმანოდ გადაწყვიტა თავისი მოვალეობის მოხდა. აბა, რა! დამალვას ხომ არ დაიწყებდა ზოგ-ზოგებივით და შეარცხვენდა სოფლის სახელს. ეგეც არ იყოს, მათი თანასოფლელი არაა ჩვენი მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი?! საერთოდ, დასამალი და თავის ასარიდებელი რა სჭირს ჯანმრთელსა და სულ ცოტა ხნის წინ საფეხბურთო კლუბ „გარეჯი-1960“-ის მწვრთნელ მალხაზ ნიჟარაძის გუნდის მეკარეს. წავა, მოიხდის თავის ვალს ღირსეულად ქვეყნის წინაშე, კიდევ უფრო გამოიბრძმედება, მეტ გამოცდილებას შეიძენს მომავალი ცხოვრებისა და საქმიანობისათვის, რაც ასე საჭირო და გამოსადეგია ყოველი ადამიანისათვის.

მადლობა ელენე და ვლადიმერ გაბროშვილებს ასეთი სამაგალითო და ვაჟკაცი შვილების აღზრდისათვის!

*გივი დაბახიშვილი*

## მთავრობის ინიციატივით
## მას, ვისაც ვენახი დაესეტყვა

სტიქიის შედეგად დაზარალებული მევენახეები, რომლებსაც მოსავალი სრულად დაუზიანდათ, დახმარების სახით დაზიანებულ 1 ჰექტარზე 3500 ლარს მიიღებენ. გარდა ამისა, მიმდინარეობს დასეტყვილი ყურძნის ჩაბარების პროცესი და უკვე ჩაბარებულია 20 მილიონი ლარის ღირებულების დაზიანებული ყურძენი.



***გამოჩენილი** ეთნოლოგი კონსტანტინე (კოტე) ჩოლოყაშვილი (1922-2013), რომელიც ქართული ტრადიციების ნამდვილი მესაიდუმლე და დიდებული თამადა გახლდათ, ასე წარმოთქვამდა კახური ღვინის სადღეგრძელოს:*

*„როდესაც დედაჩემის ნათესავ თოხლიაურელ თავად ჩერქეზიშვილებს სანადიმოდ ვესტუმრებოდი, ისინი სასმისს აავსებდნენ საყოველთაოდ განთქმული ღვინით - „მანავის მწვანით“ და ასეთ სადღეგრძელოს წარმოთქვამდნენ: „მინდა შემოგთავაზოთ ქართული ღვინის სადღეგრძელო. ღვინო - საქართველოს სისხლია, ვინაიდან ის შექმნილია მზით გამთბარი ქართული მიწის წვენისაგან. როდესაც წმინდა ნინო კაპადოკიელი ქრისტეს სჯულის განსავრცობად საქართველოში შემობრძანდა, მას თან მოჰქონდა ჯვარი ვაზისა - საკუთარი თმით შეკრული ვაზის ორი ლერწი. როცა თავს გვესხმოდნენ მაჰმადიანი დამპყრობლები, ისინი უპირველესად ვენახს ჩეხდნენ, რადგანაც სწორედ ვაზი, ყურძნის მტევანი და მისგან მონაჟური ღვინო განასახიერებს ქართულ სულს. ჩვენ, ფიზიკური გადარჩენისათვის მუდმივად მებრძოლებს, ეროვნული მეობის შენარჩუნებაში ღვინო გვეხმარებოდა. ღვინო - ჩვენი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია. შემთხვევითი არ გახლავთ, რომ ქართველები ოქტომბერს - „ღვინობისთვედ“ მოვიხსენიებთ. ჩვენ ღვინით სავსე სასმისით ვესალმებით ახალშობილთ, ვუხსნით ერთმანეთს სიყვარულს და ვემშვიდობებით ამ ქვეყნიდან გარდასულთ... ჩვენ, ჩერქეზიშვილნი, უსაზღვროდ მადლიერნი ვართ ბაგრატოვანი მეფეებისა, რომ ყაბარდოდან გადმოხვეწილ ჩვენს წინაპარს, მის მიერ გაწეული ერთგული სამსახურის სანაცვლოდ, მამულები უბოძა სწორედ სოფელ მანავის მიდამოებში, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო კახური ღვინით - „მანავის მწვანით“ არის განთქმული... დიდება ამ ღვთაებრივ სასმელს, მის უდიდებულესობას, ქართულ ღვინოს!”*

# „რთველი-2023“

## რთვლის ხელშეწყობისათვის რამდენი დახარჯა „ქართულმა ოცნებამ“ რთველის სუბსიდირებაზე 2012 წლის შემდეგ

„**ყურძენს**, რომელსაც კერძო სექტორი ვერ ჩაიბარებს, რა თქმა უნდა, ჩვენი სახელმწიფო საწარმო მიიღებს და გადაამუშავებს. ჩვენ ყველანაირად მზად ვიქნებით, რომ მევენახეებს არცერთი კილოგრამი ყურძენი არ დარჩეთ ჩაუბარებელი,” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ, რომელმაც ხალხს 2023 წლის რთველის სუბსიდირების დეტალების გაცნობისას მოახსენა.

მართალია, გასაცემი თანხა შემცირდა და წინა წელს 1 კგ-ზე თუ 35 თეთრს შეადგენდა, წელს რქაწითელისა და კახური მწვანის ჯიშის ყურძენზე 20 თეთრი იქნება, მაგრამ მოჯადოვებული წრე ვერ სრულდება და მთავრობა ამ დარგში სუბსიდიის საჭიროებაზე კვლავ საუბრობს.

2022 წლის რეკორდულ თანხასთან, 150 მილიონ ლართან შედარებით, 2023 წელს გამოყოფილი თანხა მნიშვნელოვნად ნაკლები, 50 მილიონია, თუმცა ეს არა ხელისუფლების პოლიტიკის, არამედ იმის შედეგია, რომ “წლევანდელი მოსავალი შედარებით ნაკლები იქნება, ვიდრე შარშან, ვინაიდან კლიმატურმა პირობებმა გავლენა იქონია ყურძნის რაოდენობასა და ხარისხზე.

წელს ყველა ის საწარმო, რომელიც 100 ტონაზე მეტ ყურძენს ჩაიბარებს და გადაამუშავებს, მიიღებს სუბსიდიას 20 თეთრის ოდენობით იმ შემთხვევაში, თუ 1 კგ ყურძენზე გადაიხდის არანაკლებ 90 თეთრს.

სუბსიდირების პოლიტიკა საქართველოში 2008 წლიდან, რუსული ემბარგოს პერიოდში იწყება, თუმცა ამ პერიოდში გამოყოფილი თანხა შედარებით მცირე იყო.

ვითარება რადიკალურად იცვლება „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. მაგალითად, თუ 2011 წელს რთველის ხელშეწყობის ღონისძიებებისთვის 8.8 მილიონი ლარი დაიხარჯა, 2012-ში ამ თანხამ 47 მილიონი შეადგინა.

როგორც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებიდან ირკვევა, საერთო ჯამში, 2012-2016 წლებში რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების, მათ შორის, ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის მიზნით, საერთო ჯამში, 206 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

2012-2016 წლებში გამოყოფილი სახსრები:

2012 – 47 მლნ;
2013 – 32 მლნ;
2014 – 31 მლნ;
2015 – 60.7 მლნ;
2016 – 36 მლნ.

2017 წელს მთავრობამ მიდგომა შეცვალა და რთველმა მასიური სუბსიდირების გარეშე ჩაიარა. მიზეზად კი ექსპორტისა და შესაბამისად, მოთხოვნის ზრდა დასახელდა. კახეთის რეგიონში რთველზე ხარისხიან, კონდიცირებულ ყურძენზე სუბსიდია აღარ გაიცა.

მიუხედავად ამისა, ამ წელს კომპანიებმა, რომლებმაც საბრენდე სპირტისა და კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის წარმოების მიზნით რქაწითელი და კახური მწვანის ჯიშის 1 კგ ყურძენი არანაკლებ 70 თეთრად შეისყიდეს, სახელმწიფოსგან კომპენსაციის სახით 35 თეთრი მიიღეს. სუბსიდია შენარჩუნდა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე (1კგ-ზე 2 ლარი).

2017 წლის ბიუჯეტის ანგარიშის ასიგნებებში სუბსიდირებაზე დახარჯული თანხის ოდენობა აღნიშნული არაა, თუმცა, თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) თანახმად, ამ თანხამ 13.6 მილიონი ლარი შეადგინა.

2018 წელს მთავრობამ პირდაპირი სუბსიდირების სრულად შეწყვეტა 2008 წლის შემდეგ პირველად გადაწყვიტა. თუმცა არაპირდაპირი სუბსიდირება მაინც გაგრძელდა - მოსავლის მისაღებად და გადასამუშავებლად საჭირო ღონისძიებების გატარება სახელმწიფო კომპანია „აკურას“ დაევალა. კომპანიას მოუწია ბაზარზე კერძო კომპანიების შესყიდვების შემდეგ დარჩენილი ყურძნის შესყიდვა.

ISET-ის თანახმად, ამ შესყიდვის განსახორციელებლად, შესყიდვების ეროვნულმა სააგენტომ 2018 წელს 10 მილიონ ლარიანი პროექტი დაამტკიცა. 2019 წელსაც მთავრობამ სექტორი „აკურას“ გავლით დაასუბსიდირა და 80 მილიონი ლარი დახარჯა ფერმერებისგან ყურძნის შესყიდვაზე.

2020 წელს, პანდემიის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური სიძნელეების შემსუბუქების მიზნით, მთავრობამ სუბსიდირება განაახლა.

2017-2022 წლების სტატისტიკა შემდეგნაირია:

2017 – 13.6 მლნ;
2018 – 10 მლნ (არაპირდაპირი სუბსიდირება);
2019 – 80 მლნ (არაპირდაპირი სუბსიდირება);
2020 – 104.3 მლნ;
2021 – 144.7 მლნ;
2022 – 150 მლნ.

გამოდის, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, 2012-2022 წლებში, ქართული ოცნების მიერ რთველის ხელშეწყობისთვის, მათ შორის, ყურძნის ჩაბარება-გადამუშავებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობა (პირდაპირი თუ არაპირდაპირი სუბსიდია), საერთო ჯამში, 700 მილიონ ლარს აღემატება.

სუბსიდირების პროგრამით ყურძენს ყიდულობს მთავრობაც და მის დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო კომპანია სპირტს და ღვინო-მასალას ამზადებს, რასაც შემდეგ საბითუმო ბაზარზე ყიდის.

მიუხედავად იმისა, რომ სუბსიდირებასთან დაკავშირებით არსებობს პოზიტიური მოსაზრებები, რომელთა თანახმადაც, მან შეიძლება დადებითად იმოქმედოს საწარმოს საქმიანობაზე, გაზარდოს საქონლის მიწოდება, შეამციროს მისი ფასი და გახადოს ის უფრო ხელმისაწვდომი, ქვეყნის მეღვინეობის სექტორში თითქმის ყველა თანხმდება, რომ ამ პრაქტიკას სექტორზე უარყოფითი გავლენა აქვს.

სუბსიდირების შედეგად კონკრეტული სექტორი თუ რეგიონი უპირატეს მდგომარეობაშია სხვებთან შედარებით, რაც არათანაბარ გარემოს ქმნის და ინვესტიციები არაეფექტიანად ნაწილდება - ის სექტორი, რომელიც სუბსიდიით სარგებლობს, მწარმოებლებისთვის უფრო მიმზიდველი ხდება.

სუბსიდირება ჭარბი წარმოების გამომწვევიცაა, როდესაც ფერმერმა იცის, რომ მისი მოსავალი გაუყიდავი არ დარჩება, ის აღარ ზრუნავს ხარისხზე და აწარმოებს საჭიროზე მეტ ყურძენს, ამ უხარისხო ყურძნის ჩაბარება კი შემდეგ სახელმწიფო კომპანიებს უწევთ, რომლისგანაც ისინი სპირტს და ღვინო-მასალას ამზადებენ და შემდეგ საბითუმო ბაზარზე ყიდიან.

სუბსიდირების შეწყვეტა, განსაკუთრებით არჩევნების წინ, პოლიტიკურად არაპოპულარული გადაწყვეტილებაა და სწორედ ამიტომ აგრძელებს მთავრობა ბიუჯეტიდან თანხის მსუყედ ხარჯვას ამ მიმართულებით, მიუხედავად მისი უარყოფითი შედეგებისა.

## როცა მევენახეებს მხარს მთავრობა უჭერს



**რთველი** წარმატებით მიმდინარეობს. მოსავლის აღება და, ზოგადად, ყურძნის ჩაბარების პროცესი ძალიან კარგად არის ორგანიზებული, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თელავში, რთველის საკოორდინაციო შტაბის წევრებთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

პრემიერის თქმით, დღევანდელი მდგომარეობით, (28 სექტემბრისათვის)უკვე ჩაბარებული არის, გადამუშავებულია 170 ათასი ტონა ყურძენი და დაახლოებით 200 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს კახელმა მევენახეებმა.

„მინდა მოგახსენოთ, რომ დღეს დავათვალიერე და გავეცანი შტაბის მუშაობას. რთველი ძალიან წარმატებით მიმდინარეობს. მოსავლის აღება და, ზოგადად, ყურძნის ჩაბარების პროცესი ძალიან კარგად არის ორგანიზებული. შტაბი ძალიან ეფექტურად მუშაობს. დღეის (28 სექტემბერი) მდგომარეობით, უკვე ჩაბარებული არის, გადამუშავებულია 170 ათასი ტონა ყურძენი და დაახლოებით 200 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს კახელმა მევენახეებმა უკვე.

ასევე მინდა გითხრათ, რომ 300-მდე კომპანია არის ჩართული ამ პროცესში, ჯამში 450 კომპანიაა ქვეყანაში, მაგრამ აქედან 300 კომპანია არის ჩართული. მინდა გითხრათ, რომ მე ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი შტაბის მუშაობით. ისინი ლაივრეჟიმით აკონტროლებენ ყველა ქარხნის მუშაობას, მიღების პროცესს, დაწყებული მიღებიდან, ჩაბარების, მთელ პროცესს აკვირდებიან და აკონტროლებენ. ასე რომ, კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ოთარ შამუგიას, მის გუნდს, შტაბს, მთლიანად ყველას, ვინც ამ პროცესში არის ჩართული.

***ბოლო წლებში, იცით, ჩვენი ხელისუფლება მაქსიმალურად დაეხმარა და ეხმარება მევენახეებს. მევენახეობა არის სტრატეგიული დარგი ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, ეკონომიკისთვის. ჩვენ ღვინის ქვეყანა ვართ, ღვინის სამშობლო ვართ, ასე რომ, განსაკუთრებული დამოკიდებულება სწორედ ამიტომაც გვაქვს ჩვენ ამ დარგის მიმართ.***




შედარებისთვის მინდა შეგახსენოთ ყველას, რომ 2012 წელს ვენახი 25 ათასი ჰექტარი იყო ქვეყანაში. დღეს არის 50 ათასი ჰექტარი უკვე, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი პროგრესია ბოლო 10 წელიწადში. ეს არის ჩვენი პროგრამების, დახმარებების შედეგი. ასევე გეტყვით, რომ თუ მაგალითისთვის, 2012 წელს 20 მილიონი ლიტრი ღვინო იყო ექსპორტზე გატანილი, შარშან რეკორდული, 100 მილიონზე მეტი ლიტრი ღვინო გაიყიდა. ჯამურად შარშან 400 მილიონი დოლარის ექსპორტით მიღებული შემოსავალი მიიღო ქვეყანამ. ეს, რა თქმა უნდა, გადანაწილდა ამ ოჯახებში, რეგიონში და არა მხოლოდ ამ რეგიონში, არამედ სხვა რეგიონებშიც, სადაც არის მეღვინეობა განვითარებული.

450 კომპანიაა, ადრე იყო რამდენიმე ათეული კომპანია, როგორც უკვე მოგახსენეთ და საერთოდ, არავითარი დახმარება არ ეძლეოდათ მევენახეებს და მეღვინეობას, ზოგადად, ამ დარგს.

ასე რომ, ჩვენ კიდევ ერთხელ გავაგრძელებთ ამ დახმარებებს, იქნება სუბსიდირების სახით თუ სხვა პროგრამების სახით, უამრავი პროგრამაა ასეთი. ვფიქრობ, რომ ჩვენი მოსახლეობა კმაყოფილი იქნება წელს“, - განაცხადა პრემიერმა.

რთველის საკოორდინაციო შტაბი ოფიციალურად 24 აგვისტოს გაიხსნა და რთველის განმავლობაში 24-საათიან რეჟიმით მუშაობს. შტაბი კოორდინაციას უწევს რთველის ორგანიზებულად ჩატარებას. რთველის წინამოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზების მიზნით შტაბის წევრების ნაწილი კახეთში აგვისტოს დასაწყისიდან იმყოფებიან.

ადგილზე მუდმივად არის შტაბის 20 წევრი; შტაბს ხელმძღვანელობს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა. შტაბის შემადგენლობაში არიან კახეთის მუნიციპალიტეტების კოორდინატორები, რომლებიც ორგანიზებას უწევენ ყურძნის ჩაბარების პროცესს, ღვინის საწარმოებთან ყურძნით დატვირთული მანქანების ნაკადების მართვას; ასევე შტაბში იმყოფება ტექნიკური პერსონალი რეგისტრაციისა და აღრიცხვის მიმართულებით. ყურძნის აღრიცხვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმდინარეობს.

დღევანდელი მდგომარეობით, რთველი 2023 წლის ფარგლებში, გადამუშავებულია 170 ათასი ტონა ყურძენი, აქედან 68 ათას ტონამდე - რქაწითელი, 92 ათას ტონამდე - საფერავი, 3 ათასი ტონა - კახური მწვანე და დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

მოსავალი საწარმოებს 13 ათასამდე მევენახემ ჩააბარა. მათი შემოსავალი 170 მლნ ლარს აღწევს.

ამასთან ერთად, სახელმწიფო ღვინის საწარმო შპს „მოსავლის მართვის კომპანიის” მიერ გადამუშავებულია 19 ათასი ტონა კლიმატური პირობების გამო დაზიანებული ყურძენი. დაზიანებული ყურძნის რეალიზაციით მევენახეების მიღებული შემოსავალი 17,1 მლნ ლარს აღწევს.



რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია 450 ღვინის კომპანია. ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართული იყო უკვე 300 კომპანია.

რთველი სხვადასხვა აქტივობით მიმდინარეობს კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში.

## საქართველოს ფოსტის მუშაკთა დღე! თქვენს სახელზე გზავნილია



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** საქართველოს ფოსტის საგარეჯოს სერვის-ცენტრის (***უფროსი ხატია ოტიაშვილი, სურათზე შუაში)*** თანამშრომლებს ფოსტის საერთაშორისო დღე მიულოცა. მუნიციპალიტეტის ფოსტის ყოფილ თანამშრომელს კი ქალბატონ **ცაცა ბრატიაშვილს**, რომელმაც პროფესი-




ული მოღვაწეობის 45 წელი ფოსტის კედლებში გაატარა, ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისთვის, მადლობის სიგელი გადასცა.



## ღვინის დღეები საგარეჯოში

დასასრული


















*ქეთი ბრატიაშვილი,*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი***

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გარეჯის მაცნე

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდ-ენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com